

თქვენო აღმატებულება,

პირველ რიგში მინდა უნივერსიტეტის სახელით მოგესალმოდ და მიუხედავად თქვენი დატვირთული განრიგისა უნივერსიტეტში მობრძანებისთვის დიდი მადლობა გადაგიხადოთ. ეს ჩვენთვის დიდი პატივია, მითუმეტეს ასე ახალგაზრდა და მცირე უნივერსიტეტისთვის, როგორც არის სულხან-საბა ორბელიანის უნივერსიტეტი.

თქვენი მობრძანება განსაკუთრებული მოვლენაა ჩვენთვის, რაც გვეხმარება უკეთ გავიაზროთ ჩვენი გამორჩეულობა და განსაკუთრებული პასუხისმგებლობა, რადგან უნივერსიტეტი ფაქტობრივად არა მარტო ერთადერთი კათოლიკური საგანმანათლებლო ინსტიტუტია რეგიონში, არამედ კათოლიკური უნივერსიტეტების უკიდურესი ბასტიონია ევროპის კონტინენტზე, რამეთუ უახლოესი კათოლიკურ უნივერსიტეტს აღმოსავლეთის მიმართულებით იაპონიაში ან ინდოეთსა და შორეულ აღმოსავლეთში ვხვდებით.

იმისათვის, რომ მკაფიოდ წარმოგიჩინოთ, თუ როგორ ვხედავთ ჩვენ ამ უნივერსიტეტის მნიშვნელობას ამ რეგიონისთვის, მინდა გამოვყო ოთხი განზომილება, რომელშიც ჩვენი უნივერსიტეტი საკუთარ მისიასა და მნიშვნელობას იცნობიერებს.

პირველი, ქვეყნის ის კონტექსტია, რომელშიც საქართველო ესწრაფვის ევროპულ ოჯახში დაბრუნებას. მრავალსაუკუნოვანმა ისტორიულმა კატაკლიზმებმა მოგვწყვიტა იმ განვითარების პროცესი, რომელიც დსავლურ ევროპულმა ქვეყნებმა გაიარეს. ჩვენი უნივერსიტეტი ცდილობს თავისი წვლილი შეიტანოს ამ ინტეგრაციის საქმეში სწორედ ქართული და ევროპული აკადემიური სივრცეების დაახლოებით და ამ ქვეყნისათვის კათოლიკე ეკლესიის საუნივერსიტეტო გამოცდილების შუამდგომლობით. ჩვენ ვართ ევროპის უნივერსიტეტების სხვადასხვა ქსელთა წევრნი, ისევე როგორ საერთაშორისო და ევროპის კათოლიკური უნივერსიტეტების ფედერაციის წარმომადგენლები.

მეორე, 80 წლიანმა ათეისტურმა საბჭოთა დიქტატმა დაამახინჯა ადამიანის ცნობიერება და ღირებულებათა სრული ქაოსი გამოიწვია. უნივერსიტეტი თავისი საქმიანობით ცდილობს არა მხოლოდ ქრისტეს უწყება ყველასათვის კიდევ ერთხელ მკაფიოდ დახადოს და საკუთარი მოწმობით მაგალითი მისცეს ამ ქვეყნის ყველა მოქალაქეს, არამედ იმ ღირებულებების სასარგებლოდ იმოქმედოს, რომელიც ქართულ საზოგადოებას უკეთეს გახდის. წინ წამოსაწევია ეკლესიის სოციალური სწავლების ის პრინციპები, რომელიც ამ საზოგადოებას ჯერ კიდევ აკლია: მაგალითად სოლიდარობა, სამართლიანობა, სუბსიდიურობა, ეთიკური პრინციპები პოლიტიკასა და ეკონომიკაში, ადამიანის თავისუფლებისა და ღირსების დაფასება საზოგადოებრივი ცხოვრების ყველა ნაბიჯზე.

მესამე, ჩვენ ვიმყოფებით მართლადიდებლურ ქვეყანაში, სადაც ქრისტეს ეკლესია თითქმის საუკუნეების განმავლობაში დევნასა და იზოლაციაში იყო. თავისუფლების მოპოების შემდეგ ეკლესიას მიეცა შესაძლებლობა იპოვოს საკუთარი თავი და მისია ისე, რომ განთავისუფლდეს წარსულის სიმანძინჯეებისაგან. ამ გზაზე კათოლიკე ეკლესიას განსაკუთრებული მოვალეობა ეკისრება, რათა თანადგომა გაუწიოს მართლმადიდებელ ძმებს და საკუთარი გამოცდილების კვალდაკვალ მომავლისთვის სასარგებლო მსახურება გაუწიოს. ჩვენ მათ ვჭირდებით ძმური მსახურებისთვის. ჩვენ ყველანი ქრისტეში ერთიანობისთვის მოწოდებულნი ვართ და ამიტომაც ჩვენი ეპისკოპოსის მთავარ მოტოს ქრისტეს სიტყვები წარმოადგენს *ut unum sint*.

აქვე საგულისხმოვა ჩვენთვისაც მსოფლიო პატრიარქის ბართლომეოსის სიტყვები, რომელიც მან წარმოთქვა 23 ნოემბერს სტამბულში ჩვენი უნივერსიტეტის მასთან ვიზიტის დროს. „ძალიან მიხარია, რომ თქვენს უნივერსიტეტში კათოლიკეებსა და მართლმადიდებლებს შორის ჰარმონიული თანამშრომლობა სუფევს, ვინაიდან ქრისტიანულ ეკლესიებთან, განსაკუთრებით კი რომის კათოლიკე ეკლესიასთან ურთიერთობა მსოფლიო საპატრიარქოს ერთ-ერთი პრიორიტეტთაგანია“.

და ბოლოს, მეოთხე, ჩვენი კათოლიკე ეკლესია საქართველოში, მიუხედავად მრავალსაუკუნოვანი ტრადიციისა ახლად დაბადებული ორგანიზმია, რომელიც სულ რაღაც 20-30 წელს მოითვლის. დღეს მას მისიონალური ხასიათი აქვს, სადაც ადგილობრივ კულტურულ მემკვიდრეობასთან ერთად სხვადასხვა პოლონური, იტალიური, აღმოსავლეთ ევროპული ქვეყნების სულიერებითაც ცხოვრობს, რაც ერთი მხრივ, ეკლესიის მშვენიერებას, კათოლიკობას ულამაზესად წარმოჩენს, ხოლო მეორე მხრივ, ამ ერთობის კონტექტუალურ სახეს, საკუთარ იდეონტობას ეძებს. უნივერსიტეტი როგორც ადგილი სულიერი და ინტელექტუალური მუშაობისა, ამ ძიებას გასაქანს აძლევს და ჩვენ ეკლესიას ეხმარება ადგილობრივ გარემოში მყარად დაიმკვიდროს ადგილი. ამით უნივერსიტეტის კონტიბუცია არა მხოლოდ ეკუმენური ხასიათისაა, არამედ ეკლესიასაც მომავალ თაობას მოუმზადებს, რომელიც ქრისტესმიერი ცხოვრების მოწმენი იქნებიან.

ეს ყველაფერი რთული და საინტერესო გზაა, რადგან ამ გზაზე მრავლის ბიოგრაფია შედგება როგორც ქრისტეს მოწმე და ქრისტეს ერთგული. ამ გზაზე ყოველი თანადგომა და მხარდაჭერა მნიშვნელოვანია ჩვენთვის. უნივერსიტეტის სულისჩამდგმელი და მთავარი მხარდამჭერი იყო და არის ჩვენი ძვირფასი ეპისკოპოსი მეუფე ჯუზეპე პაზოტო რომელიც, იმედია, მუდამ გრძნობს ჩვენს შვილობრივ სიყვარულს; აქვე ვსარგებლობ შემთხვევით და მადლობა მინდა გადავუხადო აგრეთვე წმ. საყდრის ელჩს ჟოზე აველინო ბეტენკურს, რომლისგანაც ყოველთვის ვგრძნობთ თანადგომასა და მხარდაჭერას. თქვენი აქ მობრძანებაც ერთგვარი გამხნეებაა და ერთიანობის

მოწმობაა ჩვენთვის, რისთვისაც კიდევ ერთხელ მაგლობას მოგახსენებთ. ილოცეთ ჩვენთვის და ჩვენ მუდამ თქვენს სამსახურში გვიგულეთ.